# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 270 ჴარასკევი, 4 დეკემბერი 1909 წ. № 270

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სრულიად ... ინახება ერთის თვით ... წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წარმოდგენა № 20. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

აბონიმენტი მე-8

შაბათს, 5 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა **პართენ გოთუასი**

**პარტიის კაცი?!**

პიესა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. გრიმაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**ვისაც აბონემენტის ფული შემოტანილი არ აქვს, დღეიდან აბონემენტს ძალა აღარ ექნება.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი. „ნერონი", 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი", ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

საიუბილეო **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**კვირას, 6 დეკემბერს, 1909 წ.**

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის**

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულ დასების მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად **ორი ობოლი** მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.

2. სომხურად **დაქცეული ოჯახი** მე-2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

3. ქართულად **ხანუმა** 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.

4. საკონცერტო **განყოფილება**

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენსამე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** **ადგილების ფასი** 10 კ.—დან 80 კ.—მდე.

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაეცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრის დირექციას ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე და დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ი. იმედაშვილ-ხამმელს.

რეჟისორი **ს. ხვიმონიძე.** გამგე **თ. ნასიძე.**

**ქართული ოპერა**

კვირას, 13 დეკემბერს, 1909 წ. თავად-აზნაურთა თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება

**„სევილიის დალაქი"**

ოპერა 3 მოქმ. 4 სურათად, მუს. როსსინისა თარგ. გ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგსოვი, ცხოველიძე, კარაკიძეგი, კარგარეთელი.

ოპერას ლოტბარობს **პოლ. პეტრეს-ძე ფალიაშვილი.**

რეჟისსორობს დამსახურებული არტისტი **იოსებ ივანეს ძე რატილი.**

მესამე მოქმედებაში გაკვეთილის დროს ქ-ნი კალანდაძისა შეასრულებს ცნობილ ვილსს „ვენცანოსას", თარგ. ი. კარგარეთლისა.

სუფლიორი **მ. მოლოდინაშვილი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (6—1)

გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე:

**„ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიურის მხრით"**

დაახლოვებით 250—300 გვ. ◆ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ. დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ხონში**—გოგლა მებუკე თან.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—68)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ლ. ნ. ოჭანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიციასა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჭუთხე). (100—ზალ.—76)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აკაკის ქუჩა, N 34. (25—6.—14)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., გინეკ., იდ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მეძეგი, ბუასილი და სხვ. დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მახ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—62)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33.—117)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—311)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—64)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—54)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**— ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—221)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.** ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—13)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**სამკურნალო**

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**
**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესადგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—73)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—59)

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლეს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საანგარიშო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (საღაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—12)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—121)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი

— **წიგნი:** —

**„ნატო გაბუნია"**

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად

**გამოცემა ქარ. დრ. საზ—სა**

**ფასი 30 კ.**

ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, конто-ра груз. драмат. об—ва. (10—7)

**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში ახალი წიგნი**

**მველი საქართველო**

**ტომი 1.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1909 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.) ასეთ წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებაში, ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. ფასი წიგნის 3 მ. 50 კ (5—5)


# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**სხვა და სხვა კანონ-პროექტები.**

2 დეკემბრის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ მესამედ განიხილა და მიიღო კანონ-პროექტი პირობით დასჯის შესახებ. ამავე სხდომაზე მიიღო სათათბირომ რვაოდე კანონ-პროექტი, სხვათა შორის, კანონ-პროექტი საპყრობილეების უფროსებისა და მათ თანაშემწეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. ეხლა ამათ ძალიან ცოტა ჯამაგირი აქვთო. მიიღო სათათბირომ აგრეთვე კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ბრალდებულთ სასჯელში ჩაეთვალოთ ის დრო, რაც მათ განაჩენის გამოცხადებამდე, საქმის გამოძიების ჟამს, საპყრობილეში გაატარეს.

**შეკითხვა.**

საღამოს სხდომაზე სათათბირომ განაგრძო კამათი იმ შეკითხვის გამო, რომელიც შეეხება სატუსაღოების მთავარ სამმართველოს ცირკულიარს. როგორც აღვნიშნეთ, ამ ცირკულიარით ვექილებს აეკრძალათ ბრალდებულთა ნახვა საპყრობილეებში. აღვნიშნეთ აგრეთვე სიტყვა იუსტიციის მინისტრისა, რომელმაც მოიწონა ცირკულიარი. 2 დეკემბრის კამათი უმთავრესად მინისტრის სიტყვას შეეხებოდა.

ცხარედ ილაპარაკა მაკლაკოვმა. უიმისოდაც რუსეთში კანონი ფეხქვეშ ითელებაო, სთქვა მაკლაკოვმა, და მინისტრის სიტყვა ხომ ფრთებს შეასხავს ადმინისტრაციას. მინისტრმა ბრძანა, გუბერნატორი პატრონია გუბერნიისა და ვისაც უნდა კინწის-კვრით გააგდებს თავის სამფლობელოდანაო. ამ სიტყვის შემდეგ ადმინისტრაცია მარტო კანონს-კი არ დაარღვიეს, სრულ თვითნებობას მიეცემაო. მინისტრმავე ბრძანა, რომ დამცველებს ბრალდებულებთან საპყრობილეებში ყუმბარები მიაქვთო. პოლიციას ეპატიება ასეთ ჭორების მოგონება, მაგრამ როცა მინისტრიც ამასვე გაიძახის,—ასეთი საქციელი სახელმწიფო სკანდალად უნდა ჩაითვალოსო.

მაკლაკოვის სიტყვამ ძალიან გააბრაზა პურიშკევიჩი. იგი სულ ცოფებსა ჰყრიდა. კათედრაზე ასვლისასვე დასჭყივლა პურიშკევიჩმა სათათბიროს: როგორა ჰხედავთ და შეურაცხყოფილად ჰგრძნობთ თავს იუსტიციის მინისტრის სიტყვებით, მაშინ, როდესაც ყურადღება არ მიაქციეთ როდიჩევს, რომელმაც მთელ რუსეთის ხალხს ყაჩაღი და ქურდი უწოდაო. თავისებურად შეურაცხყო პურიშკევიჩმა მემარცხენეებს, „ინოროდცებს", ებრაელებს, ვექილებს და სხვა „კრამოლნიკებს". ბოლოს ისე გაცხარდა და ისეთი სიტყვები წამოროშა, რომ თავმჯდომარე ხომიაკოვი იძულებული გახდა, წინადადება მიეცა სათათბიროსთვის, ხუთი სხდომიდან გაეძევა პურიშკევიჩი. ასეც მოიქცნენ. ამ რიგად, ხუთ სხდომაზე მაინც აღარ მოვისმენთ ამ „ჭეშმარიტ რუსის" ჭეშმარიტ ლანძღვა-გინებას.

ილაპარაკა მემარცხენე ოქტომბრისტმა მეიენდორფმაც. მანაც გაჰკიცხა სატუსაღოთა უფროსის ცირკულიარი. სამაგიეროდ მარკოვმა მეორემ ქება-დიდებით მოიხსენია ცირკულიარიც და იუსტიციის მინისტრიც, რომელიც „ჭეშმარიტი" მინისტრიაო.

ამით გათავდა სხდომა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** სამინისტროდან გავიდა საერო განათლების მინისტრი ნაილი. ნაილს უთანხმოება მოუვიდა სამინისტროს წევრებთან. მის ადგილზე ნიშნავენ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წევრს—მიუფილს.

ებრაელთა ახალშენების საზოგადოების თავმჯდომარემ მთავრობისაგან ნებართვა მიიღო, პალესტინისა და ოსმალეთის თავისუფალ მიწებზე რამდენიც უნდა, იმდენი ებრაელი გადაასახლოს.

## საზღვარ-გარედ

**ვენა.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატმა კრამარჟმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. კრამარჟმა სთქვა: საერთაშორისო დამოკიდებულება ისეთია, რომ მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს არა მარტო გერმანელებს, არამედ სლავიანებსაც. ფრიდიუნგმა ამას წინად გამოაქვეყნა ცნობები, ვითომ სერბიის მთავრობას ხორვატიის დეპუტატები მოესყიდოს, ავსტრიის წინააღმდეგ იმოქმედეთო. ფრიდიუნგის მტკიცება ცილის-წამებაა, წარმოუდგენელი სიყალბეა. გასაკვირველია სწორედ რად სჭირდებათ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსია დაასაბუთონ იმისთანა დოკუმენტებით, როგორც ფრიდიუნგისაა. მე კიდევ მესმის ანექსიის წინანდელი დასაბუთება. ოსმალეთის ცხოვრების პირობები შეიცვალა, საჭიროა ბოსნია-ჰერცოგოვინას ლანდტაგი მივცეთ; მაგრამ ვერ გამიგია რად დასჭირდათ ყალბ და უწმაწურ დოკუმენტების ჩატანა ამ საქმეში. ნეოსლავიზმი იცავს სახელმწიფოს ეხლანდელ საზღვრებს და ერთადერთი მისი მიზანი სლავიანების კულტურულად და ეკონომიურად დაკავშირებაა. ნეოსლავიანებს ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებამდე გულწრფელად უნდოდათ ავსტრიის და რუსეთის დამეგობრება. ყველას ახსოვს, სლავიანთა პირველ კონფერენციის დროს მომხდარი ამბავი. ეს კონფერენცია პეტერბურგში მოხდა და მის წევრების პატივსაცემლად გამართულ ნადიმზედ, რომელსაც რუსეთის ინტელიგენციაც დაესწრო, დამსწრეები დიდის ოვაციებით და ეროვნულ ჰიმნის სიმღერით მიეგებნენ ავსტრიის იმპერატორის სადღეგრძელოს. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ანექსიის შემდეგი სლავიანთა და გერმანელთა დამოკიდებულება შეიცვალა და ამის მიზეზი კი მთავრობის საგარეო პოლიტიკაა. თუ ნეოსლავიანებმა შესძლეს სლავიანთა ეკონომიური და კულტურული შეკავშირება, აქედან მატერიალური სარგებლობა ექნებათ არა მარტო სლავიანებს, მთელ სახელმწიფოსაც. დასასრულ კრამარჟმა გაჰკიცხა სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ფრიდიუნგის პროცესს იხილავს და სთქვა: ხორვატებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო არც ერთ მხარეს არ მიემხრობა და საქმეს ნამდვილ მსჯავრს დასდებს. მეც ჩემ მხრივ იმედი მაქვს, რომ ასე იქნებაო.

## რუსეთი

**ეკატერინოსლავი.** რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა შჩერბინოვების მაღაროების კანტორას. გაიტაცეს—8000 მანეთი.

**პოლტავა.** დილით, პოლტავის ახლო დუქნში უცნობებმა მოჰკლეს პურით მოვაჭრე ორი კაცი. ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 700 მანეთი.

**პეტერბურგი.** 6 დეკემბრიდან პეტროკოვის გუბერნიაში განსაკუთრებულ წესების მაგიერ გაძლიერებული წესები გამოცხადდება. გაძლიერებული წესები გუბერნიაში 1910 წლის 4 დეკემბრამდის დარჩება. ვარშავის გენერალ-გუბერნატორს უფლება მიეცა 1910 წლის 4 სექტემბრამდის სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს კალუგის გუბერნიის ორი მაზრის—სერადსკის და ლენჩიცკის და კელეცის გუბერნიის ოლკუშსკის მაზრის მცხოვრებთათვის.

**ვოლოგდა.** სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ალექსანდრე ქსენოფონტის ძე ერემეევი, მემამულე.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით არავინ გამხდარა ავად და არ გარდაცვლილა.

**პეტერბურგი.** ქალაქი მოსკოვს ხოლერის მხრივ საშიშად გამოაცხადეს.

# ჭრელი შენიშვნები

**აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ.**

3

უკანასკნელ ხანებში ჩვენში დიდი ფაცი-ფუცია და სიხარული: საცაა ერობას შემოიღებენ და ასე თუ ისე ჩვენ შინაურ საქმეებში ჩვენვე ვიქნებით ბატონ-პატრონიო. თქვენს პირს შაქარი, რომ ერობა მართლა კარგი რამე იყოს. გარნა ერობაც არის და ერობაც! სანამდის ეგრედ წოდებულ ბიუროკრატიის „ოპეკას", პარპაშს ლაგამი არ ამოედება, მანამდის ერობა იქნება იგი, თუ ქალაქის თვით-მმართველობა არაობამდის ჩამოიყვანენ: საზოგადოების თვით-მოქმედებას, ზეზე ადგომას, თავის თავის პატრონობას გასავალი არ ექნება.

ამ ჩვენს აზრს ცხადს ჰყოფს მწარე წარსული სოხუმის თვით-მმართველობისა. თუ მთელს უზარ-მაზარ რუსეთში სიცოცხლე შებოჰკილია და აზრი განდევნილია მით უფრო ცუდსა და აუტანელს მდგომარეობაშია ჩავარდნილი იმისთანა მიყრუებული კუთხე, როგორიც არის აფხაზეთი და მასთან მისი კურთხეული დედაქალაქი სოხუმი. იქ, ცენტრებში, ჩვენი ცხოვრების „პატრონთ" ან ღვთისა ეშინიანთ, ან კაცისა, ან და უფრო მეტს წინააღმდეგობა ელობებათ მათ წინ და ამიტომ მათ დუხჭირ მოქმედებისმწვავეს ისე ვერა ჰგრძნობს „ტუზემცები", როგორც განაპირა და მივარდნილ კუთხეებში. ამისთანა ბედით დასჯილ კუთხეებში მუდამ მოიპოვება თითო-ოროლა შავრაზმელი, რომელნიც შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებთ. ამ ვაჟბატონთ ჰგონიათ, თავიანთ თავისა და თავიანთ ინტერესების მეტი არაფერი არ ახსოვთ, და თუ ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ეფარებიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფონს ადვილად გავიდნენ. და აკი გადიან კიდეც.

ჩვენს აფხაზეთშიაც არიან ამ ჯურის შავრაზმელნი, რიცხვით 7—8: ერთი თუ ორი გუდაუთაში, ხუთიოდე სოხუმში და თითო ოროლი დრანდასაი კოდორსა და ოჩამჩირეში.

აქვე არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი მეტად საგულისხმიერო ფაქტი: ერთ-ერთ გუდაუთელ შავრაზმელის ხელობაა ლოკოკინების ჭერა. ეს პატარა ცხოველი ბევრია გუდაუთის ახლო-მახლო ზღვაში. ამ ვაჟბატონს მუშებად, სხვათა შორის, ჰყავდა ლაზები. აი, ამათ ცოტაოდენი ფული შეიძინეს და თვითონ დაიწყეს ლოკოკინების ჭერა. ეს კი შავრაზმელთა აზრით „რუსეთის სახელმწიფოებრიობის ძირის გამოთხრაა" და, როგორც ამგვარი რამ, ეცნობა პეტერბურგის კანცელიარიებს. და აი გუდაუთის საცოდავი ლოკოკინები პეტერბურგის ჩინოვნიკების კალმების წრიპინის საგნად შეიქმნენ! ამასა ჰქვიან—„ბედი მომეცი და ძვალზე დამსვიო": ვინ იფიქრებდა, რომ გუდაუთის პაწაწკინა ლოკოკინა პეტერბურგელ ტუზ-ჩინოვნიკთა ყურადღების ღირსი გახდებოდა.

აი, ამ ვაჟბატონთ ჰყავთ ას ოცი ათასი მცხოვრები შებოჰკილი. ამათმა გესლმა ჩაუმწარა სიცოცხლე სპეტაკ მოხუცს ეპ. კირიონს, რომლის წამებამ ყველა აალაპარაკა. ამათმავე გესლმა სიცოცხლე გაუმწარა თავ. ჯანდიერსაც, რომლის ხელითაც, როგორც ერთმა მოხუცმა აფხაზმა შენიშნა, „მთავრობამ წარი მოწმინდა" და ყვავილების კრეფის დროს უარი მოახსენა. „კარგსა კაცსა რათ დაუკარგო, რაც რამ სიკარგკაცე აქვსო", სთქვა პოეტმა და, მისი არ იყოს, აფხაზეთი არ დაივიწყებს იმას, რომ ჯანდიერმა გადაარჩინა სოხუმის ოლქი ცეცხლითა და მახვილით გადაბუგვას; და ამის გამო აფხაზნი თბილად იხსენიებენ ჯანდიერს დღესაც.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა ქალაქ სოხუმის თვით-მმართველობა. როგორც პირველ წერილში შევნიშნე, სოხუმს არჩეული ქალაქის თავი მხოლოდ 1905 წელს ეღირსა და ქალაქის თავად არჩეულ იქმნა ნ. ყ. თავდგირიძე, რომელსაც მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს და ამიტომ იმის პირადობის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ შევნიშნავ, რომ რაც სოხუმში თვით-მმართველობა დაარსდა, თუ რამე გაკეთდა, ისევ იმის ხელში გაკეთდა. შეიძლება შევნიშნოთ, რომ ძალიან ცოტა გაკეთდაო. მეც თანახმა ვარ, რომ ცოტა გაკეთდა, მაგრამ თუ დაწვრილებით გაიცნობთ, თუ რა გვარ ატმოსფერაში უხდებოდა და უხდება დღესაც სოხუმის თვითმმართველობას მუშაობა, განცვიფრებაში მოხვალთ, როგორ გაკეთდა ის მცირედიც, რომელიც გაკეთდა. ადგილობრივმა შავრაზმელობამ მთელი თავის ძალ-ღონით თვით-მმართველობის წინააღმდეგ გაილაშქრა და მიზანში ამოიღო ქალაქის თავი თავდგირიძე რა ცილის წამება, დაბეზღება და გესლი არ დაიხარჯა და აკი მათი წყალობით დამნაშავეთა სკამზედაც წამოასკუპეს თავდგირიძე: გარნა, მათდა საუბედუროდ, გამტყუნებით ველარ გაამტყუნეს! რა საქმეც უნდა წამოეწყო თვით-მმართველობას, სულ იმის წინააღმდეგ მიდიოდნენ ჩვენი ცხოვრების დუხჭირი ბატონები.

ჩემის აზრის საილიუსტრაციოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვან აქ, როგორც მკითხველს მოეხსენება, აფთიაქები რუსეთში მხოლოდ იმისთვისაა გაჩენილი, რომ ორიოდე მათ პატრონს კეთილი ცხოვრება მიანიჭონ. ერთ ბედნიერ პოლონელს ერგო წილად სოხუმელებზე ბატონობა და ამ უკანასკნელმა ოცდა-ათი წელიწადი იპარპაშა. ბოლო ხანებში მისი ბედნიერება შეშურდა ერთს ქუთათურს და მიიღო პრივილეგია სოხუმში მეორე აფთიაქის გახსნისა. აქ კი თავი წამოჰყო თვით-მმართველობამ და რის ვაი-ვაგლახით აფთიაქის გახსნის ნება-რთვა თვითონ მიიღო. როგორც მოგეხსენებათ, აფთიაქის გახსნის ნებართვა მეტად ძნელია ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში მაგრამ თვით-მმართველობამ იმდენი უნარი და საქმიანობა გამოიჩინა, რომ ნამესტნიკმა ნება დართო გაეხსნათ აფთიაქი ეგრედ წოდებული „внѣ правилъ" მიიღო თუ არა ეს უფლება, ქალაქის საბჭომ მაშინვე მიანდო კომისიას (ამ კომისიაში 4 რუსი და 3 ქართველი იყო) შეემუშავებინა, თუ რა პირობით შეიძლებოდა იჯარით გაცემა აფთიაქისა, ანუ გახსნისა კომისიამ დაადგინა: 1. წლიური საიჯარო გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ ოთხას თუმანი (4000 მ.) ფულად; 2. ქალაქის საავადმყოფოს მიეცეს წლიურად ორასი თუმნის (2000 მ.) წამალი იმ ფასად, რა ფასადაც მას, მოიჯარადრეს, უღირდა. ამ რიგად მცოდნე პირთა გამოანგარიშებით, ქალაქს ემატებოდა წლიურად არა ნაკლებ ორას თუმნისა; 3. ქალაქის გამგეობის დასახელებით უნდა მიეცათ ღარიბთ წლიურად 1,500 მანეთის წამალი; 4. გარდა ამისა თვითეულ მყიდველს ეთმობოდა 10% წამლის ფასისა. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აფთიაქს ექნებოდა (და კიდევაც აქვს) ვაჭრობა წლიურად არა ნაკლებ ოცი ათას მანეთისა,—აქაც ორი ათასი მანეთი ეკონომია ამ რიგად წლიურად აფთიაქი მისცემდა სოხუმს არა ნაკლებ 9,500 მანეთისას.

ამ პირობებზე დასთანხმდა მხოლოდ ეგრეთ წოდებული ბურჭულაძის კომპანია. თუმცა მთხოვნელთა რიცხვი 70-მდე იყო, მათ შორის ჭეშმარიტ რუსებიც, მაგრამ ყველას ეს პირობები ეძძიმა. ბურჯულაძე აბულაძე და მათნი ამხანაგნი საქმეს შეუდგნენ გარნა შავ-რაზმელთაც არ ეძინათ. მათი მოსვენება დაარღვია იმ გარემოებამ, რომ ეს საქმე ჩაუვარდათ ხელში „ძეთა", და არა „ოვებს". და აწრიპინდა კალმები აფრინეს შიკრიკები და აამუშავეს თავიანთი სატანინური ენერგია, რის გამოც მგონი, ეს საიჯარო პირობა დღესაც არ აქვს შეკრული ქალაქის თვით-მმართველობას მოიჯარადრეებთან. შავრაზმელთ თავიანთ გულის წადილი აუსრულდათ: რევიზორად ჩამოუყვანეს იმისთანა პირი, რომელიც ის-ის იყო ადგილობრივ რაზმიდან ქუთაისში გადაეყვანათ. თავდგირიძის მოქმედების რევიზიის დანიშვნის უმთავრეს მიზეზად ეს აფთიაქი იყო. რა თქმა უნდა, ვერავითარი „ბოროტება" ვერ აღმოაჩინეს, გარდა იმისა, რომ აფთიაქი „დაწყევლილ ტუზემცებს" ჩაუვარდათ ხელში.

აი რა საქმეები ხდება ჩვენს კურთხეულ მხარეში. კაცმა არარაობიდან ქალაქს ყოველ წლიური შემოსავალი გაუჩინა, ისიც კაი ზორბა შემოსავალი—9500 მანეთი, და მადლობის მაგიერ რევიზია და დამნაშავედ გამოცხადება! მერე რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ეს საქმე „ტუზემცმა" დაიწყო და გამართა და ეხლაც „ტუზემცები" განაგრძობენ იმის გაძღოლას.

აქვე არ შემიძლიან სოხუმელთა დამახასიათებელი პატარა ამბავიც არ მოვიყვანო. ათიოდე წლის წინად სოხუმში იყიდებოდა ერთი ნაჭერი მიწა კერძო კაცისა. ერთ ქართველ მოხუც პედაგოგის რჩევით ათიოდე ქართველმა შეისყიდა ეს მამული და, ჰოი საკვირველებავ!.. თვით ჟანდარმთა შეფიც კი შეაწუხეს და ფიცხელი განკარგულება მოახდინეს, გამოეძიათ ადგილობრივ ის „უუსაშინელესი" და „антигосударственный" საქმე ვგონებ, იმ მოხუც პედაგოგის ჩრდილოეთში გადასახლების უმთავრესი მიზეზი იყო ის საცოდავი სამასი ოთხკუთხი საჟენი მიწა, რომელიც მას ერგო...

აი კიდევ ერთი „მარგალიტი ობოლი" სოხუმელ შავრაზმელთ პარპაშისა. როგორც პირველ წერილში მოვიხსენიეთ, ქალაქ სოხუმს მოზომილი აქვს საკუთრებად ოთხი ათასი დესეტინა მიწა. ამის ნაწილი, ისიც საუკეთესო, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მუქთად დაირიგეს. გარნა ერთი საუკეთესო ნაჭერი, ზომით თორმეტი დესეტინა, აიღეს მიზანში და ისევ გოლიცინის ბატონობის დროს „споръ"-ით გამოაცხადებინეს ხაზინას, და ათ წელიწადზე მეტია, რაც ხაზინა ედავება ქალაქს—ეს ნაჭერი ჩემიაო. გოლიცინის დროსვე წააგო ხაზინამ ეს ნაჭერი მიწა სასამართლოს ყველა ინსტანციაში და, აი, რა ბრძანება გამოვიდა: „Сдать немедленно землю городу Сухуму отъ имени военно-инжинернаго управленія и немедленно же отобрать отъ имени военно-народнаго управленія"!! დიდი დავი-დარაბის შემდეგ ისევ მოუგეს „военно-народное" управленіе"-საც ეს ნაჭერი მიწა და და ეხლა კი აბრუნდი გააკეთეს: „изъять это дѣло отъ судебнаго вѣдомства"-ო და გარდაეცეს იმას გასარჩევად, ვინც მოპასუხეა, ესე იგივე ადმინისტრაციას!

აი, ამასა ჰქვიან ჩვენებურად, ძველებურად „მექოთნეს საითაც უნდა ქოთანს ყურს იქით უზამსო!" როგორც ამ მაგალითიდანაცა სჩანს, დალოცვილი სოხუმელი შავრაზმელნი იმდენად უტიფარნი და მასთან ძლიერნი არიან, რომ თავიანთ ნებაზე კანონებსაც აუქმებენ. მოდი და ამისთანა ხალხთან გააკეთე რამე!

**ჰამუთ-ბეი.**

# ოცნების ნამსხვრევი

(სონეტები)

ა

სატრფოვ გულისავ,
ამაყო, ლალო,
ტრფობისა მუზავ,
ედემის ბალო,—
შენს სანეტაროდ და შენს საამოდ
ცრემლად დავდნები,
მტვრად დავდები.
შენს წყლულს ვეპკურვი, წამლად,
მალამოდ!..
**
.....შენს გამიღიმე!.....

ბ

სულზედ უტკბესო,
შვების ჰომცემო,
უძვირფასესო
საუნჯევ ჩემო;— სულს,
შენზე ვლოცულობ და ვიბრუნებ
შენს გულ-მკერდ-ბროლზე—
ვერხვის ფოთოლზე
ვიწყებ ტანჯვას... ვიწყებ წარსულს!..
**
..... ვკვდები, ვაიმე!.....

გ

გთხოვ, სალოცავო,
იმედის სხივო;
ბედის ვარსკვლავო,
მკრთალო და ცივო;—
ისრით დამცხრალე .. დამწვი, დათუ დამავალებ,— მდაგე,—
თავს განაცვალებ
ოღონდ მაჩუქე ეგ შენი ბაგე!
**
.....შენი პირიმე!.....

**ი. გრიშაშვილი.**

# გვირილა

დიდი ხანია ასე ვმოგზაურობ. ამ უშველებელ ქალაქში არ მოიპოვება, მგონი, ისეთი ადგილი, სადაც დროებით სადგური არა მქონიყოს.

აი ეხლაც, ცალ იღლიაში დაძველებულ კალათით და მეორეში—ჭრელ დაფლეთილ ბ[illegible] მოვადევ ჩემს ახალ ბინას.

ბინდდება. ბუხარში თავ-შემოფარებული ქარი გულ-შემზარავ კილოზე რაღასაც ჩივის. იმის გოდებაში ნაცნობი, მაგრამ დიდი ხნის მივიწყებული ხმები ჰკრთის. ამ ხმებმა გამიტაცეს, ამაღელვეს...

გულის გასაყოლებლად ბინის მოწყობას მივჰყავ ხელი. გავხსენ კალათი, ამოვიღე ჩემსავებრ დახავსებული წიგნები და მაგიდაზე კოპწიად დავუწყე დალაგება.

ქარი კი ისევ სტირის... ნეტა რა აწუხებს? ვინ იცის! იქნება სატრფო გაუფრინდა შორს, შორს და ველარ დაუბრუნებია, ან, შეიძლება, ჩემსავით მოხუცს, მას დანატრებია სიჭაბუკის განვლილი დღენი, ან კიდევ... ღმერთო, როგორ ქვითინებს საწყალი! ალბად ძალიან უბედურია...

ფანჯრით მთვარე შემოიპარა ნელა, ნელა, თითქოს ეშინოდა ვისიმე. გათამამდა, ყველა კუთხე მიათვალ-მოათვალიერა, არ მოეწონა აქაურობა, შუბლი შეიჭმუხნა და მიიმალა, მე კი ისევ ვზივარ უძრავად მაგიდასთან ნიდაყვ-დაყრდნობილი და ქარის კვნესა-ვაებას გამალებით ვუსმენ.

შორს სადღაც საათმა დარეკა. ერთი... ორი... მისწყდა. უცნაური რამ დამატყდა თავს, არა-ჩვეულებრივმა დარდმა შემიპყრო, რაღაც გამოურკვეველმა, ჰაეროვანმა ნაღველმა მოიკალთა ჩემ თვალებში და ძილს მიფრთხობს.

ისევ წიგნის კითხვა ვარჩიე. ავანთე სანთელი, გადავშალე წიგნი... პატარა უფერული ყვავილი... წინად ყვითელი იყო, ცრემლებმა წაართვეს ფერი.

კვალად გამიტაცეს ფიქრებმა.

„ნელად მოღელავს მიდუდუნე მტკვარი ანკარა"... გიცნობ შენ, ჩემო ბებერო! შენს ნაპირებიდან დავინახე პირველად ცისა კამარა. შენ მეუბნებოდი ტკბილ ნანას... კარგი დრო იყო! მაშინაც ქალაქში ვცხოვრობდი, მხოლოდ ის ქალაქი სხვანაირი იყო. იქ თავს დამტრიალებდა სამხრეთის მზე, ცელქად მეალერსებდა თბილი სიო. ჭაბუკი ვიყავ, თამამი. ჩემს გზას ვარდი დაჰფენოდა. იმის გაფურჩქვნილ ფურცლებში ეკალი არა სჩანდა. მივდიოდი ამაყად, მხიარულად, რას ვიფიქრებდი, რომ ბედი ასე მალე მომიხრიდა ქედს! ესე კი იყო, ქუჩაში შევხვდი. იგი მზე იყო, მე არწივობა დავიჩემე, თვალები შევანათე. მას შემდეგ არის, რომ თვალთ დამაკლდა...

პოსეიდონი გამწყრალიყო, პირიდან ცოფებს ჰყრიდა. აჯახებდა მათ მდუმარე კლდეებს, ჰგმინავდა, მეზღვაურთ თავ-ბედს აწყევლინებდა. დიდმა ხურიამ გაიტაცა, შევყურებდი სათამაშოდ გამხდარ გემებს, ვსტკბებოდი ამ უმასწოროო ბრძოლის მზერით. არ ვიცოდი, რომ ცხოვრების ტალღებში ბედი ამ გემთა ხვედრს მიმზადებდა...

ახლო კი იყო ჟამი. გვერდს გამიარა. ნაზად მიარხევდა ტანს, სქელი ნაწნავი ბეჭებზე გველივით მიიკლაკნებოდა. ხავერდისებური თვალები ეშმაკურად მიღიმოდნენ, ყმად მსახურობდნენ. ვიუკადრისე, ბრძოლა შევბედე...

ზაფხული იყო. ხანგრძლივ ავადმყოფობისაგან დასუსტებული სოფლად ვისვენებდი. ერთ დღეს ისიც ამოვიდა. ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მინდორში დავრბოდით, ვცელქობდით, ბავშვებს ვემსგავსებოდით. წასვლის დროს გვირილა მოწყვიტა, გამომიწოდა ჩუმად. ჩამოვართვი, გულში ჩავიკარ. შემდეგ წიგნში ჩავდე, ძვირფას სახსოვრად, სიყვარულის ნიშნად დავისახე. იმ დროს აზრად არ მომსვლია, რომ ყვითელი იყო, ღალატს ნიშნავდა...

გამძვინვარებული ცა უზომოდ ღრიალებდა, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა, დედა მიწას ემუქრებოდა. ხმელეთი ძრწოდა, კანკალებდა; ზღვა შეშფოთებული, გაფითრებული მყუდრო თავ-შესაფარის ძებნაში აქეთ-იქით აწყდებოდა... „გაიგე, რომ ის გათხოვდაო", მითხრეს ისე დამშვიდებით, თითქოს მე სრულიად არ შემეხებოდა...

კოკისპირულმა წვიმამ გამომაფხიზლა. შინისკენ გამოვბრუნდი, სიზმარი მეგონა... აკი კიდევა ვნახე. უფრო გაშვენებული, ნაზი, სპეტაკი. ხავერდისებური თვალები ისევ ისე ცბიერად მიღიმოდნენ, ბეჭებზე გველი უფრო მომხიბვლელად მისრიალებდა. „მოგილოცო?"—შეგძლიან...

წიგნის ფურცლებზე ცრემლის ტბა დაგუბებულიყო, გვირილა შიგ დაცურავდა, ფერი წასვლოდა. წინ სარკე მედგა და იქიდან ვიღაც მოხუცი დაწითლებულის თვალებით ნაღვლიანად მიცქეროდა...

**ს. კაცხნარელი.**

# სოფლად

II

**სკოლები.**

ავღევის სამრევლო სკოლის გახსნამ ჩემში ცნობისმოყვარეობა გამოიწვია: განვიზრახე დავათვალიერო აქა იქ ფრონის ხეობებზე გაფანტული სკოლები.

პირველად თიღვის სამრევლო სკოლის დასათვალიერებლად წავედი. სკოლის შენობა თიღვის ეკლესიის გალავანშია მოთავსებული. შენობა ხისაა, ერთი გძელი ოთახია, სადაც კლასია მოთავსებული, გალესილია თიხის მიწით, აქა-იქ ჩამონგრეულია, კარ-ფანჯარა სიცივეს უშვებს, საკლასო ოთახშიაც სიცივეა. შუაში თუნუქის ძველი ფეჩი სდგას. დამტვრეული სტოლი და სკამი შევდი დავათვალიერე. კედლებზე აქა-იქ გაკრულია ძველის აღთქმიდან სურათები, იესო ქრისტეს ცხოვრებიდან და ს. ც. საკლასო დაფა პატარა, მასწავლებლის სტოლზე, რომელიც იდგა შუადგილო ადგილას, ეყარა რუსული ანბანი. მოუწყობელი და ულაზათო შეხედულება ჰქონდა საკლასო ოთახს.

მოსწავლენი გარედ დარბოდნენ. ერთ მოსწავლეს დავძახებინე მასწავლებელი, იგი, ღვდ. ათაევის ძმაა და მასთან შესულიყო. ერთმანეთს გამოვემცნაურეთ, მასწავლებელი ქართულს ენას ძლივს ახერხებს.

— რამდენი მოსწავლე გყავთ?— შევეკითხე.

— ჯერ მე დროებით ვარ დანიშნული და. არ ვიცი, რა მიზეზით, აფიციალურად არა ვარ დამტკიცებული და ამის გამო სწავლა ჯერ რიგიანად არ არის დაწყებული. ოცდა-ათამდის მოსწავლე იქნება.

— ოსი უფრო მეტი სწავლობს, თუ ქართველი?

— ოსი უფრო მეტია.

— არ შეიძლება მაჩვენოთ საკლასო ჟურნალი ან სია მოსწავლეთა?

— ჯერ არა მაქვს ჩაწერილი და არც საჭირო სასწავლო ნივთები მაქვს, რომ რიგზე იყოს ყველაფერი.

ჩვენ რუსულ ენაზე ვლაპარაკობდით, რადგან მინდოდა სწორედ გამეგო, ოსი უფრო მეტს სწავლობს, თუ ქართველი, იქავე ერთ მოსწავლეს ვკითხე:

— შენი გვარი?

— ბუზიაშვილი.

— რამდენი ხართ ქართველი?

— ათამდის ოსი იქნება, დანარჩენი ქართველები ვართ,—მივიღე პასუხად მოსწავლესაგან.

შემდეგ მასწავლებელმა დაიწყო აქაურ ოსებზე საყვედური. წმინდა ოსურ ენას არ ლაპარაკობენო. ერთ მოსწავლეს ვეკითხები, დედას ოსურად რა ჰქვიან მეთქი და მიპასუხა—დედაო. ქართულ სიტყვებს ურევენ ოსურ ენაში. მე მსურს წმინდა ოსური ენა ვასწავლო, რათა არ დაივიწყონ დედაენაო.

— რატომ არ გინდათ ქართულიც ასწავლოთ, ქართული ხომ უფრო ეხერხებათ?

— მაშ ქართველებმაც ოსური უნდა ისწავლონ,—მიპასუხა ათაევის ძმამ:—ქართული ენა სახელმწიფო ენა არ არის და რად უნდა ვასწავლოთ ოსებს, სად გამოადგებათ! რუსული ენა საჭიროა და ამიტომ ვცდილობთ შევასწავლოთ ზედ მიწევნით.

აღარ გამოვებაასე. მინდოდა სწავლა მენახა, მაგრამ ვერ მოხერხდა. გამოვეთხოვე მასწავლებელს და წამოვედი.

თიღვის სამრევლო სკოლა 1902 წლიდან არსებობს.

**

რამდენიმე დღის შემდეგ მოხისის სკოლის ნახვაც მომიხდა. მივედი. მღვდ. ხახუტაშვილი თავის ბაღში მუშაობდა. ვთხოვე სკოლა ეჩვენებინა. სიამოვნებით გამიძღვა და ეკლესიის ქვიტკირის გალავანში შემიყვანა, სადაც ეკლესიის [illegible] შენობაში (მგონი ცოტა უნდა იყოს) [illegible] ანად საკლასო ერთერთელა ოთახი. შევედით. ქართული ენის გაკვეთილი ჰქონდათ. 53 მოსწავლე ქალი და კაცი იყო, თუმცა მსურველი სწავლისა 80 ზედ მეტი ყოფილა, მაგრამ საკლასო ოთახი მეტს ვერ იტევდა. მასწავლებლად ქალია.

სწავლის დროს საკლასო ოთახში ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდა ადამიანი. მოსწავლენი ცქვიტად და მხიარულად გამოიყურებოდნენ, თითქმის ყველას სუფთად ეცვა, ვერ შევნიშნე დაფხრეწილ-დაგლეჯილ ტანისამოსში მოსწავლე. ყველას წინ რვეული ედო და გულმოდგინედ სწერდნენ ქართულს ანბანს. სკოლა სამინისტროა, 23 ოქტომბერს გაიხსნა, იგი მღვდ. ხახუტაშვილის მეცადინეობით დაარსდა. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი—360 მ. სოფელი სკოლას აძლევს 300 მან.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სკოლამ ჩემზე.

**

აქედან გავეშურე ფცის სკოლის სანახავად, რათა მიმესწრო სწავლისთვის. ფცის სამრევლო სკოლა მოთავსებულია ნინო ბაგრატიონის ასულის შენობაში. საკლასო ოთახი მეტის-მეტად პატარაა. სივიწროვეა. ღარიბად გამოიყურება. მოსწავლე 32-მდეა. სწავლის მსურველი ბევრი ყოფილა აქაც ქართული ენის გაკვეთილი ჰქონდათ ასწავლიდა მიხეილ ბადრიაშვილი.

მოსწავლენი კითხულობენ ქართულად გარკვევით. „ბუნების კარიდან" მოსწავლეებმა ლექსები სთქვეს და წაიკითხეს. „რუსკოე სლოვოს" მეორე ნაწილს გადიან.

მიხეილ ბადრიაშვილი სკოლის გამგეც არის, მასწავლებელიც და სამღვთო სჯულსაც ასწავლის. აქაური მღვდელი ჩიტაძე არავითარ მონაწილეობას არ იღებს სკოლის საქმეში. მასწავლებელს ჯამაგირი 240 მან. აქვს. აქედან სახლის სკოლის ქირას ნინო ბაგრატიონის ასულს წელიწადში აძლევს 20 მან. სასწავლო ნივთებზე მასწავლებელი თავის ჯამაგირიდანა ხარჯავს. რაღა უნდა დარჩეს, რომ ცოლ-შვილი არჩინოს? 12 წელიწადია მის. ბადრიაშვილი ამ სკოლას აწარმოებს და საკვირველია, რომ ამ პირობებში სკოლა არ დაიკეტა.

სოფ. ფცას კი არ ეპატიება, რომ თავის მხრივ სკოლას შემწეობას არ უწევს. სოფელი ვერ ახერხებს, საკუთარი შენობა აუგოს. არა დიდ ხარჯებს რა სოფელს, ძველი კანცელარიის შენობა უდგია, ის რომ გადააკეთოს, სკოლისთვის კარგი შენობა გამოვა რა იაფადაც მორჩება.

დროა გლეხებმა ხელი მოჰკიდონ სწავლას.

ყორნისის სკოლაც დავათვალიერე, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**Legatus.**

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **შეკითხვა.** „ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ დაადგინა, შეეკითხონ სტოლიპინს იმის გამო, რომ კავკასიაში ადგილობრივი მთავრობა განზრახ ღლავს სპარსეთის საზღვარზე, რის გამო მეზობელ სახელმწიფოს მცხოვრებნი მოსაზღვრე დაბაჯებს სცემენ და ხოცავენო. რა მიზეზია, რომ საზღვარზე ჯარის-კაცთა საკმაო რიცხვი არ არისო.

✦ **გამომცემელი ამხანაგობა.** ქუთაისში სდგება თურმე გამომცემელი ამხანაგობა „დასავლეთი საქართველო" წიგნების გამოცემის გარდა ამხანაგობას აზრად აქვს წიგნების ვაჭრობის მოწყობაც ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში და სხვაგან. წესდება [illegible]

წარუდგენიათ გუბერნატორისთვის. (ტფ. ლ.")

**იურიდიული საზოგადოება.** დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე, იურიდიულ საზოგადოებაში (ტფ. ოლქის სასამართლოს სადგომში) გ. გვაზავა წაიკითხავს თავის რეფერატს ლომბროზოს შესახებ.

**ქუთაისის საბაღოსნო სკოლა.** აზრადა აქვთ თურმე ქუთაისის საბაღოსნო სკოლის რეორგანიზაცია. ამ საქმისთვის სათანადო მთავრობისაგან 7000 მანეთს თხოულობენ.

**პროგიმნაზია თელავში.** ნამესტნიკმა დაამტკიცა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენება თელავში ამავე სამოსწავლო წლიდან ვაჟთა ოთხ-კლასიან პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. პროგიმნაზია შენახულ უნდა იქნას ადგილობრივ საშუალებებით: სწავლის ფულით (წელიწადში თითო მოსწავლემ უნდა გადიხადოს 80 მანეთი) და იმ დახმარებით, რომელსაც გაუწევს პროგიმნაზიას ქალაქი და თავადაზნაურობა.

**საიდუმლოდ იარაღების გაძღება.** ტფ. პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ვიატკის გუბერნიის მცხოვრები ნიკოლოზ ბარიშნიკოვი, ხელობით იარაღების მკეთებელი, კამენოვის ქუჩაზე საიდუმლოდ იარაღსა ჰყიდისო. 2 დეკემბერს ალყა შემოარტყეს ბარიშნიკოვის ბინას და შეუდგნენ ჩხრეკას. ნახეს ოთხი რევოლვერი სმიტ-ვესონისა, ორი თოფი და სხვა და სხვა ნაწილები სამხედრო თოფებისა. ჩხრეკის დროს ბარიშნიკოვის სახლში იყო ერევნის მცხოვრები იაკობ მაკაშევი რომელსაც აღმოაჩნდა ბრაუნინგის რევოლვერი 5 პატრონით. ამავე სახლში შახბუდაგოვის ბინაზე ნახეს ერთი ხმალი, ერთი თოფის ლულა და სარდაფში კიდევ თოფი. პოლიციამ ბარიშნიკოვი და მაკაშევი დააპატიმრა. უკანასკნელი იარაღის ყიდვა-გაყიდვაში გამოტყდა.

**ლექცია.** კვირას, 6 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ა. გ. მალხაზოვი რუსულად წაიკითხავს ლექციას: „ლეონიდ ანდრეევი და ჩვენი ცხოვრების ტრაგედია" („ანფისა" და „ანათემა").

**ქურდობა.** ქუთაისის მცხოვრები გიორგი მეძმარიაშვილი როგორც თითონ პოლიციაში განუცხადებია, გაუქურდავთ. მეძმარიაშვილს, მოიჯარადრეს, 1 დეკემბერს უქირავნია „იტალიის" ნომრებში. გათენებისას გამოსულა. ქუჩაში შეჰხვედრია ნაცნობს ნიკოლოზ აბაშიძეს. ჩამჯდარა მასთან ეტლში და წაუყვანია ბინაზე. შემდეგ ისევ შინ დაბრუნებულა და იქ შეუნიშნავს, რომ ვიღაცას მისთვის ჯიბიდან ამოეცალა 1325 მან. ფულად, 15 მანეთიანი საათი, პასპორტი და სხვა საბუთის ქაღალდები. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ნიკოლოზ აბაშიძეზე, რომელიც დააპატიმრეს. აბაშიძე გამოტყდა ქურდობაში და განაცხადა, მე მხოლოდ 400 მ. ამოვაცალე მეძმარიაშვილს. საფულე საბუთების ქაღალდიანად ქუჩაში გადავაგდე და არ ვიცი თუ იქ სხვა ფულიც იყოო. მოპარული ფული აბაშიძეს გადაუცია თავის მეუღლეს ალექსანდრასათვის, რომელიც გამოკითხვის დროს ჯერ უარზე იდგა და მერე გამოტყდა, ქმრისაგან მიღებული ფული გადავეცი ნათლიდედას ნატალია კუკოევისას, რომელიც ყაზბეგის ქუჩაზე სცხოვრობსო. კოკოევისა უარზე დადგა, ფული არ მიმიღიაო. ამის გამო გაჩხრიკეს მისი ბინა და აღმოაჩინეს ფულად 500 მან., საათი მეძმარიაშვილისა და რევოლვერი, რომლის ტარების ნება მას არა ჰქონდა. კოკოევისას ჩამოართვეს ნივთები, ფული და დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე სხვა მონაწილენიც.

**წ.-კ. საზოგადოების კრება.** წ. კ. საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია კვირას, 6 დეკემბერს, დილის 10 საათისთვის ტფ. სამეურნეო საზოგადოების სადგომში. კრებას სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება მოხსენება მუზეუმისათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ, ანგარიში 1908 წლის მოქმედებისა, სარევიზიო კომისიის მოხსენება და სხვ.

**სხდომა არ შესდგა.** 2 დეკემბრისთვის დანიშნული სხდომა ტფ. ქალაქის სასკოლო კომისიისა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

● 2 დეკემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: ქურდებმა გასტეხეს სურფ-სარქისის ეკლესიის სამრევლო სკოლის სადგომი და გაიტანეს სხვა და სხვა ნივთები. მოპარულ ნივთებიდან პოლიციელებმა რამდენიმე საბუთის ქაღალდი ნახეს სკოლასთან, ხოლო სხვა ნივთები წაუღიათ პუშკინის ქუჩაზე, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის ვაგონი დაეტაკა მიხეილ ოქროპირიძეს და დაამავა. ოქროპირიძე საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მღვდელს პოლიევქტ კარბელაშვილისთვის ვაკეზე სახლიდან ქურდებს გაუტანიათ 80 მანეთის ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ოლღა კუცამგილი. 2 დეკემბერს დააპატიმრეს ყვარელელი თედო გონიაშვილი, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

## მოწერილი ამბები

**რაჭა.** ონში, გარდა ერთ-კლასიან სკოლისა, არსებობს სამინისტრო ორკლასიანი სასწავლებელიც. ამ უკანასკნელში დიდი ხანია ზედამხედველად არის ემელიანე თუთბერიძე. სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში, უფროსის ბრძანებისამებრ, თუთბერიძეს სკოლიდან დაუთხოვნია ის მოწაფენი, რომელთაც სწავლის წლიური გადასახადი შვიდი მანეთი არ ჰქონიათ წარმოდგენილი. დაუთხოვნია იმიტომ, რომ ფული მოეტანათ და მისულიყვნენ. ამათ შორის ყოფილა ადგილობრივ მცხოვრების კ. ჯაფარიძის შვილი. ბ-ნმა ჯაფარიძემ, როგორც ამბობენ, იუკადრისა თურმე, როგორ თუ ზედამხედველმა ჩემი შვილი ფულისათვის დაითხოვაო". მივარდა სკოლაში და ცემით დაემუქრა მოხუც ზედამხედველს, რომელიც ორმოცდაათ წელს არის გადაცილებული და ოცდა რვა წელიწადზე მეტია, რაც მასწავლებლობს. მაგრამ ჯაფარიძემ ამას ყურადღება არ მიაქცია და მეორე დღეს სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა: ერთ დუქანში გამოიჩინა გმირობა. მის-და საუბედუროდ, ამ ამბავს შემთხვევით დაესწრო თვით მაზრის უფროსი, რომლის ბრძანებითაც ჯაფარიძე შეიპყრეს და სატუსაღოში ჩასვეს. ხუთიოდე დღის შემდეგ გულ კეთილ ზედამხედველს თვითონ შეებრალა თავისი გამლახველი და სთხოვა მაზრის უფროსს მე ყველაფერს ვაპატიებ; ცოდვაა, წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცია და უბრძანეთ განთავისუფლებაო". მაგრამ მაზრის უფროსმა უარი განაცხადა დამნაშავის განთავისუფლებაზე. მზრუნველიც, როგორც ადგილობრივ მმართველობისადმი მოწერილობიდან სჩანს, მაგრა ჰკიდებს ამ საქმეს ხელს.

ი. გ—ძე.

**თელავი.** სამკითხველო და საკვირაო სკოლა—ორივე სასარგებლო დაწესებულება გაჭირვებულ მდგომარეობაშია თელავში. კიდევაც რომ დაიკეტოს, თავს არავინ აიტკივებს. იქნებ ბევრს ესიამოვნოს კიდეც, კრებებზე მოწვევით აღარ შეაწუხებენ. ტფილისის გაზეთებიც არ მოდის, არა თუ სხვა ქალაქებისა. წიგნები არ ემატება და ალბად ამისთვის არც მკითხველი ჰყავს ბლომად. სიამოვნით მიეტანის დუქნებს მეტი სტუმარი ეწვევა ხოლმე, ვიდრე ამ ბიბლიოთეკას. წევრთა რიცხვი 100-120 არ აღემატება და ამათშიაც ნახევარმა არც კი იცის მისი ბინა. თითქმის ჩამოითვლება, ვინც ბიბლიოთეკას ადონდიალებს. წევრადაც ესენი ეწერებიან, სხვა-ფრივადაც დახმარებას ესენი ეწევიან, თითქოს ერთი წრე ვალდებული გაუხდათ ვისმე. სხვები?! რა ბრძანებაა, ასეთ უმნიშვნელო საქმეზე თავს როგორ აიტკივებენ!

აი, ეხლაც ბიბლიოთეკის დახლი დიდი ხანია დაცარიელებულია, თუ არავინ დაეხმარა, დაიკეტება. დაფაცურდა მისი გამგე ქ-ნი ნინო მთვარელიშვილისა, ემუდარება ყველას, კრებაზე მაინც მობრძანდითო. მგონი მერამდენჯერმე დანიშნავს კრებას, მაგრამ ჩვეულებრივ შ. გულცივობის წყალობით, სულ ოციოდე პირმა ძლივს მოიყარა თავი და ბევრი მუჯლუგუნ-მეტყველობის შემდეგ ისევ ბ-ნ ასწურელსა და წარმოდგენაზე შეჩერდნენ. 27 ნოემბერს წარმოდგენა იმართება სამკითხველოს სასარგებლოდ. დასდგამენ „ციმბირელს". იქნება საზოგადოება ამ ხელად მაინც წავიდეს. სხვა არა იყოს-რა, საზოგადო დაწესებულების სასარგებლოა და არა კერძო პირისა, როგორც სჩვევიათ თელაველებს.

საკვირაო სკოლაში 140-მდე სკოლის გარედ დარჩენილი, ბედისაგან დაჩაგრული ბავშვი სწავლობს. მთხოვნელი კიდევ ბევრია, მაგრამ ადგილი არ არის. ადგილიც რომ იყოს, მასწავლებლები არ იქნებიან. თელავში 7 სასწავლებელია, 40 თუ მეტი პედაგოგია, ამათგან მხოლოდ ორი დაიარება, ერთი სამოქალაქო და მეორე—წმ. ნინოს სასწავლებლიდან. დანარჩენები შინაური მასწავლებლები არიან, სულ ქალები, ერთის გარდა.

მეცადინეობა კი ბეჯითად მიდის, მაგრამ ამ სკოლის დახლიც დაცარიელებულია. თუმცა მისი წლიური ბიუჯეტი 50-60 მან. არ აღემატება, მაგრამ ამასაც შოვნა უნდა. შარშან ქალაქის გამგეობამ 50 მან. გაიმეტა, წელს ვერც კი სთხოვეს, იცოდნენ, უარს მიიღებდნენ. საზოგადო სასრებულოსაც სთხოვეს, მაგრამ პასუხიც კი არ არის. ასეა საქმე და თუ დახმარება არა, ძალა-უნებურად დაკეტვა მოელის, რადგან მოსწავლეთ სასწავლო ნივთები უნდათ, სკოლას კი საშუალება არა აქვს მის შესაძენად. კლასებსაც დათბობა უნდა...

დავიწყებული.

**ახალციხე.** ადგ. ქართველობამ 28 ნოემბერს მოილაპარაკა გაბუნია ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე. დაადგინა, გაუგზავნოს იუბილიარს მისალოცი დეპეშა, აირჩიოს კომიტეტი წარმოდგენის გასამართავად (შემოსავალი სავსებით გაეგზავნება იუბილიარს). წარმოდგენამ რომ უფრო მეტი შემოსავალი მოსცეს, გადასწყვიტეს სამ ენაზე გაიმართოს; გაცნოს წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებას იუბილიარის მოღვაწეობა.

შეუძლებელია არ უსაყვედუროთ ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც ხელი შეაშვა აქ ქართულ წარმოდგენების მართვას. სრული ერთი წელიწადი გადის, რაც აქ ქართული წარმოდგენა აღარ გამართულა (აკაკის შარშანდელ იუბილეის, 7 დეკემბრის, აქეთ). რით უნდათ შეინახონ დედათა დედათასასწავლებელი და ბიბლიოთეკა. რომელთა ბედ-იღბალი ამ წარმოდგენების შემოსავალზეა დამოკიდებული?!. წინად წელიწადში 3-4 წარმოდგენა მაინც იმართებოდა. მართალია, მაშინ ბ-ნი მიქაშვილი დიდ შრომას ეწეოდა ხოლმე ამ საქმისთვის (მიქაშვილი წელიწადნახევარია ზესტაფონში გადაიყვანეს), მაგრამ სხვებიც ბევრნი არიან აქ, რომელნიც არ დაიზარებენ ამ საქმისათვის მეცადინეობას.

კ. გვარამაძე.

**ხონი.** ნატალია გაბუნია ცაგარლის 30 წლის სამოღვაწეო დღესასწაულში ხონელებმაც მიიღეს ცოცხალი მონაწილეობა. ჯერ ერთი კვირის წინად ადგილობრივმა წერა-კით. საზ. განყოფილებამ დაბეჭდა და გაავრცელა ხალხში შემდეგი შინაარსის განცხადება: ამა თვის 29, კვირას, სრულდება 30 წელიწადი, რაც ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარელისა სამშობლო სცენას დაუღალავად ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ დაუტკბია ქართველი საზოგადოება თავის ხელოვნურ თამაშით სცენაზე. დავალებული ქართველი ხალხი ამ თვის 29-ს უმართავს ტფილისში დღესასწაულს. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებამაც მიიღო მონაწილეობა ამ საერთო დღესასწაულში. ამის გამო ვთხოვთ ხონის საზოგადოებას მობრძანდეს კვირას, 29 გიორგობისთვეს, საკრებულო ტაძარში, სადაც წირვის შემდეგ გადახდილი იქნება სამადლობელი პარაკლისი. გარდა ამისა, ამავე საზოგადოებამ სიტყვა გაუგზავნა და დაავალა გამგეობის წევრს ტფილისს მყოფ შ. მიქელაძეს, წაეკითხა ნატალია მერაბის ასულის იუბილეის დღეს. დადგენილების თანახმად, კვირას გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ დეპეშა გაიგზავნა.

ამ ბოლო დროს როგორც ხონში, ისე ახლო-მახლო სოფლებში ათასგვარი გადამდები სენი გავრცელდა. უფრო მოდებულია სათოფე (ტიფი). ძალიან არიან ჩვენსკენ აგრეთვე გავრცელებული მალარია. ხონში ექიმითა წყალობით ისე ვერ თარეშობს ეს ორი სენი, როგორც სოფლად. მუსრს ავლებს გლეხკაცობას. სოფელი საექიმო დახმარების მხრივ უნუგეშო მდგომარეობაშია, არ არიან საკმაოდ ფერშლებიც-კი. ხონიდან, ექიმის წაყვანა, რა თქმა უნდა, ძვირად ჯდება ექიმი შორს არის ძვირია და ამიტომ გლეხობა ისევ სოფლის ექიმბაშების ხელშია. რას არ სჩადიან ეს ექიმბაშები! ერთი ასეთი ვაჟბატონი ავადმყოფობას საათით სინჯავდა. დაადებდა ხელზე საათს და დაუწყებდა მარჩიელობას: შენ ასე გჭირს, შენ ეს გტკივა, შენ ასე იქნები და ეს გტკინებაო. ჩემი თვალითა ვნახე ეს.

აქეთ ამ უკანასკნელ ხანებში ქურდობაც მეტის მეტად ვრცელდება. ალბად, ამისი მიზეზი მალარიაა. საზოგადოდ, ოჯახს ვერა ნახავთ, რომ ავადმყოფი არა ჰყავდეს. თავის მოვლა და გაფრთხილება არ იციან. აქეთ ჩვეულებად არის გადაქცეული, როდესაც ავადმყოფი გარდაიცვლება, თუნდა გადამდები სენით, მახლობელნი, სიყვარულის ნიშნად მისი ტანისამოსს იცმენ და გულში იხუტებენ. ამის წყალობით, აშკარაა, ადვილად გადადება სენისა.

ფასკუნჯი.

**სოფ. ცერონისი** (ქართლი). 18 გიორგობისთვეში 16 წლის ყმაწვილმა ბაგრატ ფალავანდიშვილმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი მეზობელი სოსო მისას ძე ყიფშიძე. ტყვია მოჰხვდა მარცხენა მხარში და ბეჭში გაჰარდა. გაჩერდა კან-ქვეშ. რადგან ტყვია ჭუჭყიანი ყოფილა, დაჭრილს საშინლად აწუხებს. თურბანიძემ ექვსი თუმანი სთხოვა საექიმოდ. ვინ მისცა ამდენი ფული. თვით ბაგრატ ფალავანდიშვილი თავისუფლად დაიარება. მამა-შვილს ფალავანდიშვილებს სოფელ ცერონისში აქვთ ნახევარი დღის ჯაობი, რომელსაც საიჯეს ეძახიან, და ვაი იმას, ვისი საქონელიც იქ გადავა. ამ ერთი წლის განმავლობაში რა არ მოხდა ფალავანდიშვილთში: ბრძაში მოჰკლეს არბოლიშვილი; ხუნდისუბანში ერთი დღის მიზეზით ორი ვაჟკაცი გამოესალმა სიცოცხლეს; იქვე ნიკა ფალავანდიშვილმა ესროლა თოფი სოლო ყიფშიძეს; ფალავანდიშვილის სახლში ბაგრატიონმა მოჰკლა ერისთავი; დუშიკო ფალავანდიშვილს ესროდეს თოფი და მაშველებელს გაუხვრიტეს თავი. ყველა ამის მომქმედნი თავისუფლად დადიან და ქეიფობენ და განა სიმართლით არ არის ნათქვამი, რომ „ფცის ზევით კანონი არ არსებობსო".

მარტოკა.

## სამშობლოს გარეთ

(წერილი პეტერბურგიდან)

მეოცე საუკუნეში სასწაული ძნელი საწამებელია და ამიტომ ვერაფრით ვერ ამიხსნია ის, ინტერესი, რომელიც გამოიწვია პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს ჩვეულებრივმა კრებამ. არასოდეს იმდენი ქართ. სტუდენტობა კრებას არ დასწრებია. მე, მგონია ამისი მიზეზი უნდა ყოფილიყო საქმე. ბ. უ—ძისა, რომელსაც ჰბრალდება საღამოს (1908 წ. გამარ.) შემოსავლის... ასე რომ ვსთქვათ, გაფლანგვა. ისედაც ღარიბია ქართველთა სათვისტომოს კასსა და საღამოს ფულის დახარჯვა ნამდვილი „ტარტაროზული" საქციელია.

შეიძლება 13 ნოემბრის კრების დამსწრეთ ცოტათი გული დასწყდათ, რადგან ბ-ნ უ—ძის საქმის გარჩევა ვერ მოესწრო უდროობის გამო და გადაიდო შემდეგ კრებისათვის. 13 ნოემბერს მოასწრეს მხოლოდ სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენა გამგეობის ახალ წევრების და საღამოს გამმართველ კომისიის არჩევა. დიდი კამათი გამოიწვია სარევიზიო კომისიის მოხსენებამ. მაინც და მაინც „რბილად" არ მოეპყრნენ გამგეობის ძველ წევრებს და, ცოტა არ იყოს „შეაჰირვიანეს". დაიწყო კამათი, მაგრამ ვაი ასეთ დაიწყებას: აირია ერთმანეთში ქართული და რუსული! დაიწყებენ ქართულად და გაათავებენ რუსულად ან პირ იქით... მოხსენების განხილვის შემდეგ აირჩიეს გამგეობის წევრები და საღამოს გამართვაზე გადავიდნენ. ამანაც ცოტაოდენი კამათი გამოიწვია.

საქმე იმაშია, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ასეთი საღამო ყოველ წლივ იმართება და თითქმის ყოველწლივ შემოსავალი კლებულობს. ამიტომაც გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელიც სულ წინააღმდეგნი იყვნენ საღამოს გამართვისა ისინი ამბობდნენ, ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ უკანასკნელ წლების საღამოებს. შემოსული ფული იხარჯება გამმართველისაგან და ამასგარდა ჩხუბი და ხანჯლების ტრიალი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცაო (რაფუყოთ: ქართველები ხომ სამხრეთის მცხოვრებნი არიან. ცხარეა სამხრეთელის ბუნება!). მაგრამ კრებამ უარჰყო ეს აზრი. უფრო იმ მოსაზრებით, რომ მარტო მატერიალურ მხარეს არა ვხედავთ ჩვენ საღამოების გამართვაშიო. საღამოს წყალობით შეძლება გვექნება გავაცნოთ ჩვენი თავი რუსის საზოგადოებასაო (ღმერთმა ნუ ჰქნას, ისე გააცნონ თავი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე), და აირჩიეს 15 კაცი კომისიაში. კომისიას დაევალა საღამოს მოწყობა. 13 ნოემბრის კრება ამით დასრულდა. საჭირბოროტო საკითხი უ—ძის შესახებ გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

***

ქართულმა სამეცნიერო წრემ რამდენიმე კრება გამართა. კრებები მოანდომა საქმის მოწესრიგებას და ი. ყიფშიძის მოხსენების მოსმენას. ძლიერ სასიამოვნო მოვლენაა, რომ წრე გულგრილად არ ეკიდება საქმეს. ძველმა გამგეობამ უარი განაცხადა და, ერთის-გარდა, ყველა წევრი გავიდა გამგეობიდან. აირჩიეს ახალი წევრები. უმრავლესობა ახალი სტუდენტობაა. როგორც გამგეობის მოქმედებიდანა სჩანს იგი არეულ-დარეულ საქმეების გამორჩევას აპირებს. ყველაზე შესაბრალის მდგომარეობაში სამკითხველო აღმოჩნდა. დაკარგულა სულ 120 წიგნი. დაუბრუნდება თუ არა წრეს ეს წიგნები—ალაჰმა უწყის. ზოგს წაუღია 5 წიგნი, ზოგს 13, ზოგსაც 23. ზოგი წამღები მომკვდარა, ზოგისა არც ასავალი იციან, არც დასავალი. ზოგი კიდევ დემონსტრატიულად აცხადებს—არ დავაბრუნებო.

წრეს არა ჰქონია შინაური წესდება, რომლის ძალითაც უნდა ემოქმედნა გამგეობას. ამის გამო ცოტაოდენი შეცდომაც მოსვლია გამგეობას. ამ სენის თავიდან ასაცდენად შემუშავდა წესდება.

ეს ტეხნიკური მხარეა. რაც შეეხება თვით სამეცნიერო მუშაობას, ვერც ეს მიდის ჯერ-ჯერობით სასურველად. შარშან მარტო ორი რეფერატი წაიკითხეს. წლეულს სტ. ი. ყიფშიძემ პირველმა „წაიკითხა თვისი მოხსენება: „შთაბეჭდილება სამეგრელოში მოგზაურობის დროს". მოხსენებას მთავარი ნაწილი ეხებოდა გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მხარეებს. ბოლოს მომხსენებელმა გვაცნო რამდენიმე მაგალითი მეგრულ და ქართული ენის სიახლოვის, ნათესაობის დასამტკიცებლად. ი. ყიფშიძე, აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტმა გაჰგზავნა შარშან ლინგვისტიურ მასალის შესაკრებად და კეთილ-სინიდისიერადაც შეუსრულებია მოვალეობა. შეუდგენია გრამატიკა მეგრულ ენისა, რომელიც ნათელს ჰყოფს მეგრულ და ქართულ ენების ერთობას, ნათესაობას. ზმნების ერთგვარად წარმოება ორივე ენაში, კანკლედობის სრული ანალოგია და ფორმათა საოცარი ერთობა (სტ. ყიფშიძეს შეუდგენია ლექსიკონიც, რომელიც მალე უნდა დაისტამბოს) საკმაოდ ნათელს ჰფენს ამ საკითხის იმ მხრივ ახსნას, რომ ეს ორი ენა სხვა-და-სხვა ოჯახს არ წარმოადგენენ.

შოთა დ—იანი.

## სასამართლო

**დოროფეევის საწყობის გაქურდვა.**

1908 წელს 2 მარტს ქ. ტფილისში, საღამოს ასე 8 საათზე, სოლოლაკის ქუჩაზე, გურგენოვის სახლის მეეზოვეს ალ. მარქაროვს შეუმჩნევია სინათლე დოროფეევის ბ. ლაზიის საწყობში. მეეზოვეს ჰკითხვია, ლამპა დარჩენიათ ანთებულიო და მაშინვე შეუტყობინებია მაღაზიის გამგის ალ. კაბანოვისთვის. როდესაც კაბანოვი მისულა, უნახავს, რომ საწყობის კედლის ძირში ერთ ადგილას გაუხვრევიათ და მაღაზიიდან გაუტანიათ 18 ათას მანეთის აბრეშუმის საქონელი. შემდეგ როდესაც საწყობი კარგად დაუთვალიერებიათ, აღმოჩენილა დახლი გვერდზე გაწეული, დახლის ადგილას იატაკი ნახევარ არშინზე გაჭრილი. აქედან გზა გაყვანილი ქალაქის არხისაკენ. არხის დათვალიერების დროს არხში მრავალი ნივთი უნახავთ, რომლების წაღება [illegible] მოუსწვრიათ. [illegible] პოლიციას მიუღია ცნობა, რომ [illegible] ხება რუბენ [illegible] ვის სახლშიო. როდესაც პოლიციას გაუჩხრეკია ავაქოვის სახლი, მართლა აღმოუჩენია თხუთმეტი არშინი აბრეშუმის ფერადი მატერია და სხვა, ხოლო მამაცევის დანიშნულთან, მარიამ ქუთათელაძესთან, აღმოუჩენიათ მამაცევის მიერ ნაჩუქარი სუფრები, სალფეთქები და სხვა ნივთები. ყველა ეს დოროფეევის საწყობიდან ყოფილა გატანილი. როდესაც ავაქოვისთვის პოლიციას გამოუკითხავს, ავაქოვს უჩვენებია: მე შევხვდი ჩემს ნაცნობს გეურქას, რომლის გვარი არ ვიცი. მან მთხოვა წავყოლოდი და მეშველა ერთ საცალის სახლამდის მიტანა. მეც დავთანხმდი. წავყევი გეურქას და როდესაც მივედით მტკვრის ნაპირას, შეგვხვდა რაჟდენ მამაცევი, რომელსაც მოჰქონდა საცალო. გეურქამ ჩამიყვანა უწმინდურების არხში და მაჩვენა ერთი საცალო კიდევ, რომელშიაც 30 აბრეშუმის თოფი იყო. ეს საქონელი გეურქას, რაჟდენს, და ილიკოს დოროფეევის საწყობიდან გამოეტანათო. მამაცევს უჩვენებია, ამ ქურდობის ერთი კვირის წინად იარმუკაში შემხვდა ჩემი ნაცნობი პეტრე, რომლის გვარი არ ვიცი, და მიამბო, რომ ამხანაგებთან ერთად ვცდილობთ მიწაში გზა გავიყვანოთ დოროფეევის საწყობისაკენ ნივთების გამოსატანად და მოგვეხმარეო. მეც დავთანხმდი, დავიწყეთ მუშაობა და ოთხი დღის შემდეგ კიდევაც გავიტანეთ საქონელი, წავიღე ბაქოში და იქ ერთს თათარს 330 მ. მივყიდეო. 1 ივლის 1908 წ. ქ. პენზაში პოლიციას ცარცვაზე დაუპატიმრებია მიხეილ ადამოვი და ვასილ თავართქილაძე, რომელთაც განუცხადებიათ ბოქაულისთვის, ჩვენ სხვა ამხანაგებთან ერთად დოროფეევის მაღაზიაც გავცარცვეთო.

წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულს ავაქოვს პოლიციასთან ნათქვამი გაუმეორებია, ხოლო მამაცევის შესახებ უთქვამს, არ ვიცნობ და თუ პოლიციელებთან ვთქვი, ცემით მათქმევინესო. მამაცევს განუცხადებია, მუხრანის ქუჩიდან შევამჩნიე, რომ უწმინდურების არხიდან რაღაც შეკრულ ნივთებს ზიდავდნენ. იმათ წასვლის შემდეგ მივედი მეც, დავათვალიერე ეს არხი და იქ ერთი შეკრული ვიპოვნე, რომლის ნაწილიც გავასაჩუქრე და ნაწილი ბაქოში მივყიდე 100 მანეთად ერთს უცნობს თათარსაო. ვასო თავართქილაძეს სულ უარი უთქვამს—ამ დროს ქ. ცარიცინში ვიყავი და არაფერი ვიცი ამის შესახებაო. ხოლო მიხეილ ადამოვი გამოტეხილა და უამბნია, თუ როგორ გაზიდეს ნივთები.

ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ 3 დეკემბერს განიხილა. სასამართლოში არ გამოცხადდა ბრალდებული რუბენ ავაქოვი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი რაჟდენ მამაცევი და მიხეილ ადამოვი და მიუსაჯა ოთხი წლით პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა, ხოლო ვასო თავართქილაძე გაამართლა.

## სიზმარი

დაძინებამდის ლოგინში წიგნის კითხვა ჩვეულებად გარდამექცა. გუშინდამაც გადავშალე და დავიწყე ერთი მოთხრობის კითხვა. მისმა სასიამოვნო შინაარსმა ამიტაცა და სანამ არ გავათავე, ვერ დავიძინე.

საოცნებო სიზმარი ვნახე. ვითომ შობის დღე გათენებულიყო. მე სადღაც მივეჩქარებოდი და რადგან ვერც ტრამვაიზე ვიშოვნე ადგილი და ვერც თავისუფალი ეტლი ვნახე, ფეხით მომიხდა წასვლა. მივდივარ და თვალები ყურებად გარდამექცა. ტრამვაიები სულ მთლად გავსილიყო უბრალოდ, მაგრამ სუფთად ჩაცმულ პატარა ყმაწვილებით. იმათ თან ახლდნენ მშვენივრად მორთულ-მოკაზმული ქალები თვალ-ყურის სადევნელად. ეს ქალები ბევრჯელ შემხვედრიან გოლოვინის პროსპექტზე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ეხლა-კი მათი დანახვა ბავშვებთან რაღაც სიამოვნებასა მგვრიდა. ამათ კეთილ თვალებში სიყვარული იხატებოდა ყმაწვილებისადმი.

მივაღწიე ერევნის მოედანს და გავჩერდი. სამივე შტო ტრამვაის ყმაწვილებით დატვირთული მიდი-მოდიოდა. პატარა მოსეირნეთა სანახავად, მთელი ქალაქი გამოსულიყო და ტრამვაის დირექტორს ბ[illegible] ბატონს ხმა-მაღლა მადლობას უძღვნიდა. დავინახე ერთი ნაცნობ[illegible] ქალი და ვკითხე:

— ეს რაებსა ვხედავ! ვერა გ[illegible]გია რა, ამიხსენ.

იმან გაკვირვებით მიპასუხა:

— ნუ თუ არ იცი გადაწყვეტილება ყველა დაწესებულებისა, რომ პირველი ორი დღე ამ დღესასწაულისა უმწეო ყმაწვილების გასართობად არის დანიშნული? არც ერთი მაღაზიის პატრონი არ დარჩა, რომ ფარჩეულობა არ გამოეგზავნა ტიტველა ბავშვების შემოსამოსავად. ამოდენა ტანისამოსი სულ მდიდრის ქალებმა დაკერეს, თუმც იმათ საქმის შეუჩვეველ ხელებისთვის ძლიერ ძნელი იყო. ქალაქის თავმა ტფილისი რამდენსამე ნაწილად გაჰყო. ამ ნაწილებში მცხოვრებთა ღარიბ-ბავშვების ჩაწერა მასწავლებლებს დაავალა, რომელთა თაოსნობითაც ყველა ნაწილში შობის ხე გაიმართა ქალაქის ხარჯით...

— შენ პირ შაქარი! შენ პირ შაქარი! — ვიმეორებდი ალტაცებული.

მივიხედე და დავინახე მოქალაქეთა საკუთარი ეტლები და ავტომობილები, რომლებშიაც უბრალოდ ჩაცმული ბავშვები ისხდნენ და დასეირნებდნენ. თვალს ვერ ვაშორებდი ბავშვებს და ავედევნე ეტლით, მივყევი ვოგზლამდის. იქაც აუარებელი წვრილ-ფეხობა ტრიალებდა. თურმე ეს პირველი ორი დღე დღესასწაულისა რკინის გზასაც მუქთად დაუთმია ღარიბ ბავშვებისათვის. რკინის გზა ქიანქველასავით უთვალავ ყმაწვილებს მიაქროლებდა და მოაქროლებდა. იმათ სიხარულისაგან აწითლებულ ლოყებს და სიამოვნებისაგან გაფართოებულ თვალებს კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. მზრუნველად დაყენებული მშვენიერი ქალწულნი ბავშვებს შესთავაზებდნენ ათასნაირ ტკბილეულობას და თან ცირკსა და თეატრში წასვლას ჰპირდებოდნენ, რადგან ცირკისა და ოთხივე თეატრის გამგეთაც ორი დღე და ღამე წარმოდგენები უფასოდ დაეთმოთ ღარიბებისათვის.

როგორ მოგწონს მკითხველო, ეს სიზმარი? ურიგო ხომ არ იქნებოდა, რომ ჩემი სიზმარი სინამდვილედ გარდიქცეს? მე რომ გამომეღვიძა და გამოვერკვიე, გული ბოლომდი ამევსო. რაც სიზმრად მომეჩვენა, დასავლეთ ევროპაში ჩვეულებად არის გარდაქცეული. რატომ ჩვენც იმათსავით არ უნდა ვიქცეოდეთ? იმათ ნამდვილად შეუგნიათ, რომ ქრისტეშობა ბავშვების, უმთავრესად ღარიბ ბავშვების დღესასწაულია. ჩვენში კი მდიდრები ეჩოსავით სულ თავისკენ ითლიან. იმას როდი აქცევენ ყურადღებას, რომ ღვთის-მშობელი იმითაც ღარიბი იყო, რომ აკვნის უქონლობისა გამო თავისი ძე ბოგაში ჩააწვინა. თუ შეძლებული მოქალაქეებს უნდათ, თავიანთ საყვარელ შვილებს ასიამოვნონ, ღარიბნიც არ უნდა დაივიწყონ ამ დღეს. ასე უფრო გაახარებენ თავიანთ შვილებს...

ო. ჭრელაშვილი.

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერეტტა.** პირველ დეკემბრიდან ქართულ თეატრში დაიწყო ოპერეტტები ვალენტეტტის დასისა. დასი ჩამოვიდა ბაქოდან, სადაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა მის წარმოდგენებს. როგორც პირველ ორ წარმოდგენიდან სჩანს, დასი თვალსაჩინოა. რამდენიმე მშვენიერი მომღერალი — ქალი და კაცი. პატარა ორკესტრს და ხოროს მწყობრად მიჰყავთ თავიანთი საქმეები. დასს ახასიათებს კარგი ანსამბლი — ეტყობა, ერთად ხანგძლივ მუშაობას შეუკავშირებია დასი. დიდ ყურადღებას აქცევენ სცენიურ სიმშვენიერეს. ეფექტიანი იყო ოთხშაბათს დადგმულ „როდოკოპების“ მეორე მოქმედება. ეჭვი არ არის, ეს ოპერეტტა ხალხს მიიზიდავს.

## შორეული აღმოსავლეთი

**გერმანული გაზეთები შორეულ აღმოსავლეთზე.**

ვენის გაზეთები სიხარულით ეგებებიან რუსეთ-ჩინეთის ამბებს. „ნეიე ფრეიე-პრესე“ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ რუსეთმა კვლავ შორეულ აღმოსავლეთის მიაპყრო თვალები და მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში ბევრიც რომ სურდეს მაინც ვეღარ მიიღებს მონაწილეობას. გერმანიის პრესაც და პოლიტიკური წრეებიც გახარებულნი არიან, რომ ჩინეთმა მკაცრი პასუხი გასცა მანჯურიაში რუსის ადმინისტრაციის მოქმედებაზე. გაზეთების სიტყვით, ჩინეთს იაპონიამ უკარნახა ასეთ პოლიტიკას დასდგომოდა.

**ჩინეთის მთავრობის საპასუხო ნოტა.**

ჩინეთის მთავრობამ საპასუხო ნოტა გაუგზავნა რუსეთს. აი მოკლედ შინაარსი ამ ნოტისა. არც 1896 წლის დადებული ხელშეკრულება, არც 1909 წლის 27 აპრილის შეთანხმება, არ აძლევს რუსეთს უფლებას, რომ ხარბინში და მანჯურიის სხვა ქალაქებში ადმინისტრატიული გამგებლობა ხელთ ჰქონდეს. პირიქით აპრილის ხელშეკრულობის პირველი ხუთი მუხლი ხმა მაღლა ჰქადაგებენ, რომ მანჯურია ჩინეთის განუყრელი ქვეყანაა.

რკინის გზის ადმინისტრაციას უფლება აქვს მხოლოდ ლიანდაგის ახლო ადგილებში დაიცვას წესები და არა მეზობელ ქალაქებში. თითონ ლიანდაგის დაცვა შინაურ ხასიათისა არის. 1896 წლის ხელშეკრულების ძალით, ამ გზის დაცვა ჩინეთის საქმეა და არა რუსეთისა. შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ მანჯურია საზოგადოთ და კერძოდ ხარბინი ჩინეთის სამფლობელოს ნაწილნი არიან.

შეერთებულმა შტატებმაც თითქმის ამავე სახით განუცხადეს რუსეთს პროტესტი მანჯურიის ადმინისტრატიულ მართვა-გამგებლობის მითვისებისათვის. დიპლომატების აზრით, ჩინეთის სიტყვებში აშკარადა ნათქვამი, რომ ახლო მომავალში, რუსეთმა აუცილებლად უნდა გაიყვანოს ჯარი მანჯურიის საზღვრებიდან.

**სახელმწიფო სათათბირო და შორეულ აღმოსავლეთის ამბები.**

სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ჩიღიკინმა განცხადება წარუდგინა შორეულ აღმოსავლეთის ამბებზე. ჩიღიკინი სწერს, შორეულ აღმოსავლეთში ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ მანჯურიაში მცხოვრები რუსობა დამფრთხალია, გულის გახეთქით მოელის ომს, ადარაფერზე გული არა აქვს, მუშაობა და ვაჭრობა შეჩერებულია. რუსეთის გაზეთებშიაც ბევრი რამ იწერება მოსალოდნელ ომზე, რუსეთის საზოგადოებაც დაშფოთებული არ არის. სავსებით საჭიროა ხალხის დასამშვიდებლად, რომ სათათბირო შეეხოს შორეულ აღმოსავლეთის ამბებს და მასზედ სხდომაზე იქონიოს მსჯელობა.

„რეჩის“ სიტყვით, სახელმწიფო დაცვის კომისიის თავმჯდომარე ზვეგინცოვის აზრით, ცნობებში მიმწოდებელი მთავრობის ბიურო სიმართლეს ღალატობს და ოპტიმიზმით არის მოცული, ის თქმულებისა არ იყოს „შიშაზე მშვიდობიანობაა“ ჰგვარავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას, სამაგიეროდ პრესაც გადამეტებულ გულგატეხილობას იჩენს და ომის მოლოდინშია.

ოქტომბრისტები მომხრენი არიან, რომ სათათბიროში იქონიოს მსჯელობა შორეულ აღმოსავლეთის საქმეებზე. უნდათ აღძრან შუამდგომლობა, რომ დახურული სხდომა დაინიშნოს ამ საკითხის გამოსარკვევადაო. ოქტომბრისტების ერთი ნაწილი კი წინააღმდეგია, სახელმწიფო სათათბირომ ეგები პატრიოტიზმი გამოიჩინოს და საქმე უფრო გამწვავდესო.

**ჩინეთ-იაპონიის შეთანხმება.**

ხარბინის გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ სარგებლობს ჩინეთის გაზეთების ცნობით და ამბობს, რომ ჩინეთსა და იაპონიას შორის საიდუმლო შეთანხმება მოხდაო. იაპონიის მთავრობას აზრად აქვს კვანტუნზე გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა გააუქმოს და სამაგიეროდ გააძლიეროს ლაოდუნის იაპონიის ჯარები. სამოქალაქო გამგებლობა ჩინელ მცხოვრებთა ჩინეთის ხელში იქნება. პორტ-არტური და დალნი უვადოთ იაპონიის ხელში იქნება და სამხედრო გზად, ჯარის გადასაყვანად იქნება დანიშნული, თუ საჭირო იქნება ჩინეთ-იაპონიის საერთო სამხედრო მოქმედების დროს.

## უცხოეთი

**ავსტრიელ დიპლომატის აზრი შორეულ-აღმოსავლეთის მდგომარეობაზე.**

ავსტრიის ხარბინელ კონსულს ულაპარაკნია „რუსკ. სლოვო“-ს თანამშრომელთან და უთქვამს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში მდგომარეობა მეტად გამწვავებული არისო. იაპონია ნამდვილად ემზადება საომრადაო. ომზე აშკარადაც კი ლაპარაკობენ. იაპონელები ფიქრობენ, რომ მიკადოს სამფლობელო ბაიკალამდის გაადიდონ. ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა. ომის მოლოდინში ყველა დამფრთხალია. ტოკიოს პრესა აქეზებს იაპონიის მთავრობას ომი დაიწყოს რუსეთთან.

**წინასწარი საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.**

ინგლისში უკვე ენერგიულად შეუდგნენ საარჩევნო ბრძოლას. კონსერვატორებიცა და ლიბერალებიც მიტინგებსა ჰმართავენ. ლაპარაკობენ პარტიის ლიდერები მინისტრები ჩერჩილი, ლოიდ-ჯორჯი და სხვა. კონსერვატორების მიტინგზე ილაპარაკა ლორდმა რეჩილდმა, რომელიც აშკარად შეუერთდა საბაჟო გადასახადების მომხრეებს. მინისტრი ჩერჩილი მეტად ენერგიულ აგიტაციას ეწევა. მოგზაურობს ლენკაშირის ოლქში და ყოველ დღე ლაპარაკობს მიტინგებზე, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი ესწრება. ლენკაშირი წინადაც ლიბერალებს გზავნიდა პარლამენტში. იმედი აქვთ, ეხლაც ლიბერალებს აირჩევენ. ჩერჩილი ციფრებით ხელში არღვევდა პროტექციონისტებისა და ლორდების მიერ გავრცელებულ აზრს, ვითომ ბიუჯეტის წარდგენამ ცუდად იმოქმედა ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ჩერჩილმა გაჰკიცხა ლორდების საქციელი და განაცხადა: „როდესაც იისხვრევა პარლამენტი და ირღვევა კონსტიტუცია, ყველა მოქალაქეთა ვალია დახმარების ხელი შეუწყოსო. მიტინგებს სუფრაჟისტკები ესწრებიან და ხშირად ერევიან ლაპარაკში. მანჩესტერში, როდესაც ჩერჩილსაც უნდა ელაპარაკნა — ლიბერალურ პარტიის კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სუფრაჟისტკებთან. შეთანხმდნენ, რომ ლაპარაკის დროს სუფრაჟისტკები თავს შეიკავებენ. სუფრაჟისტკებიც მხნედ იბრძვიან ქალთა უფლების მოსაპოებლად.

**საბერძნეთის ამბები.**

დეპუტატთა პალატაში შეიტანეს კანონპროექტი ახალ გადასახადების დაწესების შესახებ. ეს კანონპროექტები საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევენ. საბერძნეთის დიდ ქალაქების თავები წინააღმდეგნი არიან შაქრის მონოპოლიისა, რადგან ეს შესამჩნევად შეასუსტებს ქალაქების შემოსავალს. ვაჭართა ორგანიზაციებიც პროტესტს აცხადებენ მანქანებზე გადასახადების დაწესების შესახებ. არაყის ქარხნის პატრონებიც წინააღმდეგნი არიან სპირტზე გადასახადის მომატებისა. სამხედრო კავშირებმა დახმარება აღუთქვა მექარხნეებს. სამღვდელოებაშიც მღელვარება თანდათან ფართოვდება. გაზეთების სიტყვით რამდენიმე ეპისკოპოს უარი უთქვამს ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს მეფის სახელის მოხსენიებაზე.

**ოსმალეთ-საბერძნეთის კავშირი.**

უცხოეთის გაზეთების სიტყვით ოსმალეთისა და საბერძნეთის ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეები მოწადინებულნი არიან მეგობრული კავშირი შეჰკრან ამ ორ სახელმწიფოთა შორის. ამას წინად ახმედ-რიზამაც განუცხადა გაზეთების წარმომადგენელს, რომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის დავალებით ახლო მომავალში ის გაემგზავრება საბერძნეთში და ეცდება შეადგინოს ორგანიზაცია ოსმალეთ-საბერძნეთის კავშირის მსურველთაგან. ეხლა საბერძნეთიდან დეპეშით აუწყობინებენ „რუს. სლ.“-ს, რომ ბერძნები თანაგრძნობით ეგებიან შეთანხმების იდეას. ნაზი-ბეისა და საბერძნეთის მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდათ. შეთანხმების მუხლებს არკვევენ. მოელიან ახმედ-რიზას. მოლაპარაკებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრებმა ბერძნებმა უარი უთხრეს საბერძნეთს, თუ ოსმალეთთან ბრძოლა მოგიხდათ კრიტეს საკითხის გამო — მხარს არ დაგიჭერთო. თუ შეთანხმება მოხდა ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის, მაშინ კრიტეს საკითხი ადვილად გადაწყდება. თითონ ოსმალეთი, სახელმწიფოთა დამოუკიდებლად გამართავს მეგობრულ მოლაპარაკებას საბერძნეთთან და კრიტეს საკითხს საბოლოოდ გამოარკვევენ და გადასჭრიან. გამოჩენილი დიპლომატები ფიქრობენ, რომ ამ შეთანხმების ინიციატივა ეკუთვნის გერმანიას, რომელიც სცდილობს ოსმალეთი და საბერძნეთი დააკავშიროს და ამით ბალკანეთის მოსალოდნელი ფედერაცია ჩაშალოს. საბერძნეთს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს გამართული რუმინიასთან. როგორც ვიცით, რუმინია ფედერაციის საკითხში მონაწილეობას არ იღებს, რადგან ავსტრიასთან განსაკუთრებულ ხელშეკრულებით არის შეკრული.

## რუსეთი

✦ **ქალი — პროფესსორი.** კიევის უმაღლეს სასწავლებელში პროფესსორად მიუწვევიათ ქალი, რომელსაც გაუთავებია ბერლინის უნივერსიტეტი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** გასულ თვეს, ნოემბერში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 134 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 32 კაცი.

✦ **რუსეთ იაპონიის ომი.** გერმანულ გაზეთის სიტყვით რუსეთის სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი მომხრე ყოფილა რუსეთ-იაპონიის ომისა, რუსეთი გაიმარჯვებსო, ფინანსთა მინისტრი კი ძალიან წინააღმდეგია ომისა თურმე.

✦ **დეპუტატი ბროდსკი.** როგორც ვიცით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ბროდსკიმ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს განცხადება მისცა, დეპუტატობაზე ხელს ვიღებო. თვე ნახევარია, რაც ბროდსკი ოდესიდან აირჩიეს და აქამდის არ დაუმტკიცებიათ დეპუტატად. ამბობენ, ეს არის მიზეზი, რომ ბროდსკი დეპუტატობაზე უარს ამბობსო. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, ხომიაკოვს ბროდსკისთვის უკან დაუბრუნებია განცხადება, ნოტარიუსს შეამოწმებინეთ თქვენი ხელიო. სტახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, კადეტების ლიდერი მილიუკოვი ბროდსკის ჰკიცხავს (ბროდსკი — კადეტია), განცხადების შეტანა უტაქტიკობაა, ბროდსკის საქციელი ამტკიცებს, რომ ის ჯერ კიდევ გამოუცდელი პოლიტიკური მოღვაწეაო.

✦ **ქალი-ინჟენერ-ელექტროტეხნიკი.** ბერლინის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მდივანი გაზეთ „რეჩ“-ს ატყობინებს: პოლიტეხნიკუმის პროფესსორთა საბჭომ ანნა იაკობს ასული გეისის დარის რუსეთის ქვეშევრდომს, ინჟენერ — ელექტრო-ტეხნიკობა მისცა. ეს პირველი მაგალითია გერმანიაში, რომ ქალი ინჟენერ — ელექტრო-ტეხნიკოსი იყოსო.

პროვოკატორი გარტინგი. გაზეთ „უტრო როსიი“ იუწყება: გარტინგი ამ ჟამად ბრიუსელშია. გარტინგს ორი თვე იტალიაში დაუყვია და მთავრობის სხვა და სხვა განკარგულებები სისრულეში მოუყვანია. როგორც გავიგეთ გარტინგს მინდობილი ჰქონია მთავრობის რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიცია. რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიცია აღარ დაექვემდებარება რუსეთის საელჩოებს. ამ პოლიციის ცენტრალური მართველობა იქნება ქალაქ ბრიუსელში. გარტინგს დაჰპირებიან, მოაწყე საიდუმლო პოლიციის საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცი ნება სამსახურიდან გასვლიდე, და კარგ პენსიასაც დაგინიშნავთო, ამასთან საზღვარ-გარეთის პოლიციის არა ოფიციალურ ხელმძღვანელად ისევ შენ დაგტოვებთო.

## წერილი რედ. მიმართ

„დროების მე-266 ნომერში მოთავსებული: ღია წერილი ბ-ნ ვანო პაატაშვილისა ჩემ შესახებ. ასეთივე დაბეჭდილი წერილი იყო „დროების“ მე-265 ნომერში. ამ პატივცემულ ბატონებს მოვახსენებ შემდეგს:

მე გაუგზავნე ბ-ნ ონიკაშვილს (ისე როგორც სხვა აგენტებს) „ახალი ჩანგის“ წიგნის კვიტანციები გასასყიდად. ეს კვიტანციები შემოღებულია იმ აზრით, რომ ანგარიში არ აირ დაირიოს. არავითარ იურიდიულ უფლებებზე არ შეიძლება მგონი ლაპარაკი ამ კვიტანციებით. მხოლოდ ვისაც ეხალისება ამაზე დავის ატეხა, ამისთვის არსებობას სხვა ადგილი და დაწესებულება.. გაზეთის საშუალებით იურიდიულ უფლების დამტკიცება მგონი არ მოხერხდება.

რაც შეეხება ზნეობრივ პრინციპს, მე ასეთი შეხედულება მაქვს: ვინც მიითვისა მოგროვილი, ვინც გაფლანგა, იმან უნდა ზღოს, ის უნდა იყოს დამნაშავე, დაზარალებულ პირების დაკმაყოფილება მან უნდა იკისროს. ონიკაშვილმა მიითვისა შეგროვილი ფული, მაშასადამე, მას უნდა მოეთხოვოს... ის, ვინც წაგლეჯის პრინციპს აღიარებს, „შენ გაქვს და მეც უნდა მომეცესო“, ესე იგი ვისაც აქვს, იმას გაგლიჯონ, ვიმეორებ, ეს ბატონები ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდებიან ჩემი განმარტებით, რადგან სამართლიანობად ამ ნაირ შეხედულებას, სთვლიან...

ყოველ შემთხვევაში ეს საქმე გახვრეტილ ფარადაც არა ღირს რომ ამას ბოლო მოეღოს, ჩემთვის უფრო სასარგებლო იქნება (დროს მაინც აღარ დავკარგამ), დავაკმაყოფილო თელავის 5 თუ 6 ექვსი ხელის მომწერი. უმორჩილესად ვთხოვ თელავის ახალი ჩანგის“ ხელის მომწერლებს ან ერთად ან ცალ-ცალკე გამოგზავნონ კვიტანციები, აღნიშნონ თავიანთი სახელი და გვარი კვიტანციაზე რამდენი აქთ გადახდილი და ვეცდები მათ დაკმაყოფილებას.

მ გაჩეჩილაძე.

## განცხადებანი


◀ რაჭველების საყურადღებოდ ▶

(იხ. „დროება N 267.)

**იყიდება**

**სიღნაღის მაზრაში,** სოფელ ახაშენში მამული: სახნავი-სათესი — 200 დესეტინამდე ტყიანი მთა — 160 დესეტინა. სასახლე-საკარმიდამო ადგილები და სავენ ხე. მამულში მშვენიერი სასმელი მდინარე წყალია და ორი წყარო.

ადრეს ი — ტფილისი. სუდებნის ქ. № 17. სახლი ჩამადანოვისა, ალ. გიქიმყრელი. (1—564—1)

კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ)
მუშაობს ყოველ დღე დილით:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. გ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

საღამოთი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—230)

გამოვიდა გასასყიდად
გ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი
და „სორაპანის“ ამხ. გამოცემული




ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1910 წ.**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

**ფასი 20 კაპ.**

ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—11)

გამოვიდა ახალი წიგნი
**ქართული მწერლობა**
(გამოცემა მ. ჯანაშვილისა წ. მეორე)

**ახალი საუნჯე:** აღწერა. პეტრიწი ფილოსოფოსი. სერაპიონ ზარზმელი და მისი ცხოვრება. ანდრია მოც. მიმოსვლა. **ჩემი შენიშვნები:** ჰკაველი. ჰირკანია-ყუბა-ალანეთს გაიგზავნა მისიონერები. მარრის „არქაუნას“ გამო. უნდილი მასალის გამოლაგება ქართული ნამდვილიც ყალბად ჩნდება. „ივერიის“ გამო. ქართ. ენის „სემიტურობისა“ და სხ. კითხვების გამო. სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა. ევსტათის წამების გამო. დიდგვარიანი იყო. 190 და არა 8070. ჯავახიშვილის ერთ წერილის გამო. (დამატება): Гренъ, „Объ эпохѣ Тамары“. „О происх. груз классиковъ“. „Тамара Вел. и Өамара греческая“. 244 გვ. ფასი 80 კაპ. იყიდება მ ხ ო ლ ო დ წ. კ. საზ. მაღაზიაში. (3—2)

სამანუფაქტურო მაღაზია
**ა. ი. ამირალოვისა**
სოლოლაკის ქუჩიდან გადმოსვლის შემდეგ თამამშევების ქარვასლაში (№ № 19, 22 და 23), შევამოკლე რა ყველა ხარჯი ერთი სამათ ვაჭრობის შეჩერების გამო,

**მალიან იაფად**

ვყიდი მთელ საქონელს, როგორც: ყოველნაირს აბრეშუმეულს, მატყლეულს, მაუდის, ტილოსი, ბამბის და

სამებელო მატერიები

**ისარგებლეთ შემთხვევით** (5—552—4)

**ზღაპრები**
**ქართლში, კახეთში და ფშავში**
შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—10)